№ 203 3 ღვინობისთვე, ოთხშაბათი 1866—1879 3 ღვინობისთვე ოთხშაბათი № 203

დროება

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ღირს შაურად.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ერთ ხაზზე 1 კაპ., ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲗ — 5 კაპ. ᲐᲠᲐᲠᲘᲗᲘᲠᲘᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს ᲓᲐᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ გადაგზავნილი სტატიები. ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲚᲘ სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ღირს შაურად.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 3 ᲦᲕᲘᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

ᲡᲐᲥᲐᲒᲔᲚᲘ

კომედია ორს მოქმედებად, გარდმოკეთებული რუსულიდამ

II

ᲯᲔᲠ ᲓᲐᲘᲮᲝᲪᲜᲔᲜ, ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲚᲓᲜᲔᲜ

კომედია ორს მოქმედებად, გარდმოკეთებული თ. რაფ. ᲛᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲐᲜᲢᲠᲐᲥᲢᲨᲘ, პირველ პიესის შემდეგ, ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐᲡ ქალი იმღერებს ქართულ სიმღერებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაურეოვის მაღაზიაში, ᲑᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ.

დაიწყობა 7½ საათზე.

(3—2)

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘ, 28 სექტემბერს. გაზეთს „ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲡᲨᲘ“ იწერებიან, რომ ჩინეთის ელჩი ჩუნ-ხოდ ხვალ, 29 სექტემბერს, მიდის პეტერბურღიდამ მარსელშიო, საიდამაც ცეცხლის-გემით სუეცის არხზე გაიელის და ისე დაბრუნდება ჩინეთშიო. ჩინეთის ელჩი გამოეთხოვა ხელმწიფე იმპერარატორს ლივადიაში, სადაც მოაწერეს ხელი ახალ ტრაქტატზე რუსეთსა და ჩინეთს შუა, რომლის ძალითაც რუსეთი უკანვე უთმობს ჩინეთს ᲙᲣᲚᲯᲘᲡ პროვინციის ერთს ნაწილს.

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘ, 29 სექტემბერს. გაზეთს „პეტერბურღის ᲕᲔᲓᲝᲛᲝᲡᲢᲔᲑᲡ“ მიეცა ხელ-ახლად ნება-რთვა ცალკე ნომრების გაყიდვისა.

ᲚᲔᲜ. ᲑᲐᲠᲐᲜᲝᲕᲛᲐ შეადგინა პლანი კრეისერების (საომარი ხომალდების) ბრძოლისა.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ (ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ), 28 სექტემბერს. უტახის ᲘᲜᲓᲝᲚᲔᲑᲛᲐ მოჰკლეს „ᲗᲔᲗᲠᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ“ სააგენტოს აგენტი და ყველა ჩინოვნიკები; მხოლოთ ქალები და ბავშვები შეიწყნარეს.

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 28 სექტემბერს

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ:	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐ�პ.
პირველი გამოცემის	— 94	— 50
მეორე	— —	— 93	— 50
მესამესი	— —	— 93	— 50
მეოთხესი	— —	— 93	— 62
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠ.	— 92	— „
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ	— 92	— „
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲔᲗᲘᲡ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ	— 91	— 50
ᲝᲥᲠᲝ, ½ იმპერიალი	— 7	— 67
ᲗᲤᲘᲚ. ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	— „	— „

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ 5% ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ

	ᲛᲐᲜ.	ᲙᲐ�პ.
პირველი სესხის	— 227	— „
მეორე სესხის	— 222	— 25

1 მანეთი ღირს:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ	— —	25—87	პენსი
ᲑᲐᲛᲑᲣᲠᲚᲘ	— —	129—75	ცენტი
პარიჟი	— —	271—50	სანტიმი
ᲕᲔᲜᲐ	— —	219—	„ ᲞᲤᲔᲜᲘᲒᲘ
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲡᲘᲜᲘ	— —	—	

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲝᲚᲘ

შარშანდელი წლის მსგავსად, წელსაც დანიშნულია თფილისში ცხენების დო-

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ.

(ნათარგმნი მოთხრობა)

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ*)

III.

ჩვენი ლაპარაკი არაფრით არ დაბოლოვდა. მასწავლებელმა, რასაკვირველია, ვერ დამარწმუნა, რომ ჩემი მოსაზრებანი ტყუვილნი იყვნენ!

დაებრუნდი შინ გაფანტული და ღრმათ ჩაფიქრებული, თუ როგორ წავრსდგე ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲐᲡ დედის წინ და რა კითხვა-პასუხებით დავარწმუნო ის ჩემი განზრახვის ასასრულებლად.

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡᲗᲐᲜ ლაპარაკმა ᲭᲙᲣᲐ მასწავლა და გამაფრთხილა, რომ საჭიროა წინათვე მოვამზადო და დავინერგოგულში კითხვა-მიგებანი, სანამ წარვსდგებოდე ამისთანა სამძიმო საქმეზედ საალაპარაკოთ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ მე დავნიშნე ხვალინდელი დღე მოვალეობის აღსასრულებლად. წაველ ბაღში და დავჯეგ სწორეთ იმ ადგილას, სადაც გუშინ მოხდა შემზარავი მოელენა.

მე ვგრძნობდი, თითქო დალურსმული ვიყავ სკამზედ. მომესმა ბაღის კარების ხმა, ფეხის ხმაურობა ქვიშიან ქვაზედ და გახამებული იუბკის შრიალი. ჩაელუნე თავი, ვითომც აქ არაფერიამეთქი და ვიცქირებოდი წიგნში.

—რა ამბავია, სულ წიგნი და სულ წიგნის ᲰᲙᲘᲗᲮᲕᲐ! მომესმა ქალის ხმა. ᲯᲔᲠ იმას არ დავლაპარაკებივარ და ასე მეგონა ჩემი ენა სასას მიეკრა და არ შორდება-მეთქი. ᲝᲰ! ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ის ჩემთან დაჯდა და ისევ მეუბნება:

—ᲨᲣᲐᲚᲝ ᲘᲕᲐᲜᲔ! ᲐᲠᲐ მხდით ღირსს, რომ თქვენთან ვილაპარაკო?! ᲐᲠ ᲙᲐᲓᲠᲣᲚᲝᲑᲗ?

—მე... თქვენგან არ მიკვირს!.. ᲐᲠᲐᲝᲓᲔᲡ!.. წინააღმდეგ!.. ძლივს მოვაბრუნე ენა და წარმოვსთქვი ეს ნაწყვეტი სიტყვები. მე კიდევ ვერ ვბედავდი იმის ღი (მარულა), რომელიც გამართული შეხედვას და წიგნს თვალს არ ვაშორებდი, თითქო იქ ვკითხულობდი ჩემს სულელურს და მოკლე პასუხს იმასთან.

—მე თითქმის ვერც კი გიცნობ თქვენა, მაგრამ მაინც პატივსა გცემთ! თქვენ ნასწავლი ხართ და ამიტომ ძალიან მსურდა თქვენი გაცნობა დაახლოვებით; თქვენთან ლაპარაკი, თქვენი რჩევა და დარიგება!.. ᲣᲧᲣᲠᲡ არ მიგდებთ?.. Უ. ᲘᲕᲐᲜᲔ! იქნება წიგნის კითხვას გიშლიდე?! მითხრა და წამოდგა.

—ᲝᲰ, არა, სრულიადაც არა!.. წინააღმდეგ!.. ᲑᲔᲤᲘᲪᲔᲑᲘ... ᲑᲐᲛᲝᲕᲡᲗᲥᲕᲘ როგორც იყო და წიგნი კი შეეკეცე და გადავდე, მაგრამ მაგიერად მიწას მივაბჯინე თვალები.

ᲗᲥᲕᲔᲜ არ იცით,— როგორი ძნელია მარტოთ ცხოვრება ახალგაზდა ქალისთვის, მერე ამისთანა უდაბურ ადგილას, სადაც არა მოიპოვება რა გასართობი! შემომდიოდა ყურში ᲭᲘᲙᲭᲘᲙᲘ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲐᲡᲘ,

*) „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“, № 202.

იქნება იმავე ადგილას (მუშტაიდის ბაღისა და რკინის გზის სტანციის მახლობლად). დოღი ორ დღეს გაგრძელდება: ღვინობისთვის (ოქტომბრის) 21-სა და 22-ს.

პირველ დოღზე 21 ღვინობისთვეს გამოვლენ სამი წლის ჭაკი ცხენები ადგილობრივის ჯიშისა. პირველი ჯილდო (პრიზი) დ ნიშნულია 400 მან., მეორე—100 მან. და მესამე ჯარიმებით და ხელის-მოწერით შემოსული ფული.

მეორე დოღზე ამავე დღეს გამოიყვანებენ სამი წლისავე ულაყ ცხენებს აგრეთვე ადგილობრივ ჯიშისას. ჯილდო იგივე იქნება, რაც პირველ დოღში.

საჭენებელი მანძილის სივრცე ერთი-და-იგივეა ორივე დოღისათვის—2 ვერსი და 100 საჟენი.

22 ღვინობისთვეს პირველ საზოგადო დოღზე გავლენ ჭაკი და ულაყი ცხენები არა-ნაკლებ სამის წლისა და ადგილობრივის ჯიშისა. პირველი ჯილდო—400 მან.. მეორე—150 და მესამე ჯარიმიდამ და ხელის-მოწერით შემოსული ფული.

მანძილი გაჭენებისა—სამი ვერსი.

მეორე „ხალხთა შორის დოღზე“ გამოვლენ ყოველი წლოვანებისა და ჯიშის ცხენები ჭაკიცა და ულაყიც. პირველი ჯილდო—500 მან., მეორე—ორი მესამედი და მესამე—ერთი მესამედი ჯარიმის და ხელის-მოწერით შემოსულის ფულისა.

სივრცე გაჭენებისა 4 ვერსი და 100 საჟენი.

მესამე „სახალხო დოღზე“ გამოვლენ მხოლოთ ადგილობრივ ჯიშის ცხენები ჭაკი და ულაყიც და ყოველის წლოვანებისა. პირველი ჯილდო—75 მან., მეორე—25 მან; მესამე—15, მეოთხე—10, მეხუთედამ მეცხრემდინ—5 მან.

მეოთხე დოღიც იქნება მსურველები[illegible]. ჯილდო კერძო პირების ხელის-მოწერით მოგროვილ ფულებიდამ მიეცემა, თუ მოგროვდა ფული.

ვისაც დოღში მონაწილეობის მიღება სურს, ღვინობისთვის 18-სა და 19-ს უნდა ჩაეწერონ (თფილისში, სერგიევის ქუჩაზე, ჩითახოვის სახლებში, „კონნოზავოდსკის უპრავლენიის კანცელარიაში). მოწმობას ცხენის პატრონები 20 ღვინობისთვეს მიიღებენ.

დღიური

*** რადგან კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველმა უფ. იანოვსკიმ ცხადათ დაინახა, რომ ჩვენს ქვეყანაში სწავლის სურვილი დიდია და სასწავლებლები კი, სადაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლებოდეს, ცოტა, ამის გამო მომავალი 1880 წლის 1 ივლისიდამ შემდეგი ახალი სასწავლებლები იხსნება ჩვენში: გორში უეზდის სასწავლებლის მაგივრად გაიხსნება ოთხ-კლასიანი ქალაქის სასწავლებელი; ქუთაისის გუბერნიაში გაიხსნება ერთი ორი კლასიანი და ერთიც ერთ-კლასიანი, ნოვო-ბაიაზეთში და დაღესტნის მაზრის სოფ. დაშლაგარში გაიხსნება აგრეთვე თითო ორ-კლასიანი სასწავლებელი.

ამას გარდა ჩვეულებრივ ხარჯს მთავრობამ მომავალ წლისათვის 100,000 მანეთი მიუმატა კიდევ, რომლითაც სახალხო შკოლებს უნდა აღმოუჩინონ შემწეობა, თფილისის სავაჟო პროგიმნაზიას ორი კლასი უნდა მოემატოს, უნდა მიუმატონ საშუალება ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტს, უნდა გაიხსნას ორი ახალი რეალური სასწავლებელი და სხვ.

*** „თფილისის მოამბის“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია შორაპნის უეზდის უფროსის უფ. ი. ეფიმოვსკის წერილი, რომელშიაც ის ჩვეულებრივად არწმუნებს მკითხველებს, რომ ის პატიოსანი, უანგარო კაცია და ყოვლად ღირსეული ჩინოვნიკი, რომ მე მხოლოთ კერძო-ანგარიშებისა და პირადობის გამო მემტერებიან თქვენი გაზეთისა და „დროების“ აქაური კორრესპონდენტებიო, თორემ ჩემ სამსახურში და ცხოვრებაში კაცი ერთ ლაქასაც ვერ ნახავსო და სხვ.

მაგრამ ყველაზე უფრო გულ-მოსაკლავია უკანასკნელი სიტყვები უფ. ი. ეფიმოვსკისა, სადაც ის დასტირის თავის ერთგული... ძაღლების ბედს! მაიგონეთ:

„გაზეთის სტატიის სივრცე ნებას არ მაძლევს გავაგრძელო ლაპარაკი იმ ინტრიგებზე, რომლითაც მრავალი წლების განმავალობაში მოსვენებას არ მაძლევენ მე ჩემი მტერები. სამსახურშიაც და შინაც ეძებენ ჩემში რამე დანაშაულს. რამდენი მოუსვენარი ღამე გამიტარებია მე ჩემს სახლში, ჩემს ოჯახში!

„მხოლოთ ჩემ ერთგულ ძაღლებს უმადლი მე, რომ ამდენი ხანი არაფერი უბედურება არ შემთხვევია! მაგიერად უბედურებაც გადახდათ ამ ჩემ ძაღლებს: ერთი იმათგანს, რომელიც ყველაზე ავი იყო და მაშასადამე ყველაზე უკეთესიც, ცალი თვალი ამოსთხარეს; რამდენიმე თვის შემდეგ, ამავე ძაღლს ხერხიმალი და კისერი მოსტეხეს და სულს ლაფავდა საწყალი, როცა ვნახე. ჩემი საბრალო და მოუსყიდველი მეგობარი!“

*** დღეს, ოთხშაბათს, თფილისის საზაფხულო თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა ჩვენი სამუდამო ტრუპპისი. როგორც ამ ნომერშივე დაბეჭდილის განცხადებიდამ შეიტყობს მკითხველი, ითამაშებენ თ. დ. გ. ერისთვი-

---

რომელიც შემამცქეროდა და ელოდა პასუხს, მაგრამ მე ძლივს მიუგე მხოლოდ:—„ჰმმ!“

—უფ. ივანე! რა მიზეზია, ნეტავ, რომ ხანდის-ხან შემომაწვება ხოლმე რაღაც ნაირი დარდები, სევდა და არ ვიცი ხოლმე, რა ვქნა! და ამ დროს ხშირად ვსტირი ხოლმე?!

—რა ვიცი!

—მე გატყობ, რომ წიგნებს სრულიად გაუშვრია თქვენი გული! და... ვერ მიმხდარხართ, თუ რა ტანჯვაში ვარ...

—ჰმმ!

კარგა ხანს ტიტინებდა. ბოლოს, ჩემი დაუბოლოებელი „ჰმმ-ს“ შემდეგ, მომესმა ხმა ტირილის. ავიხედე. ევგენია სტიროდა. იმისი ვარდისფერი, ლოყები დანამული იყვნენ ცრემლებით.

—ევგენია! შევსძახე მე, მაგრამ არ ვიცოდი, სხვა რაღა მეთქვა! ის სტიროდა გულსამოსკვნით:—ევგენია! ნუ სტირით!.. კარგია!.. მიუმატე ეს ორი სიტყვაც და ვიგრძენ, რომ თითქო ენა ამეხსნა, მაგრამ თვალები კი დამიბნელდა.

—მიშველეთ, უფ. ივანე! რა უბედური ვარ! რა მარტოკა ვარ!.. სტიროდა ის გულ-ამოსკვნით და აღნობდა ჩემს გულს.

—თუ ღმერთი გწამსთ, ევგენია, გეთაყვა, დაჩუმდი!

—მე მინდოდა შემეყვარებინა ვინმე და... წავსულიყავ აქედამ!

—განა არავინ გიყვარს?

—მე არავის არ უყვარვარ! მწუხარეთ მომიგო ევგენიამ.

—სტეფანე?

—ვინა? სტეფინე! სტეფანეზედ მეუბნებოდით? რომელი სტეფანე?

—ის, მასწავლებლად რო არის!

—ვიცი, ვიცი! მაგრამ სტეფანე განა კაცია?

მე შევსცქეროდი იმას თვალ-დაჭყეტილი და არ ვერწმუნებოდი ჩემს ყურებს.

—მაშ ის კოცნა რაღა იყო?! მივაძახე თამამად.

—სანაძლეოვო წავუგე და იმან ხელზედ მაკოცა! მაგრამ რათა მკითხავთ იმაზედ?!

—მე... მე მეგონა, რომ თქვენ ის გიყვარდათ!

—მე სტეფანე უნდა შევიყვარო?! მე? ჰა, ჰა, ჰა! გადაიკასკასა. რა სისულელეა. გამიცანით დაახლოვებით და მე დარწმუნებული ვარ, რომ კარგი მეგობრები ვიქნებით! თქვენ ხო დილით ადრე დგებით; მოდით აქ, ამ ბაღში შვიდ საათზედ და დამიცადეთ! კარგი? შეიძლება? მითხრა ევგენიამ და წამოდგა.

—დიდის სიამოვნებით! მივუგე მე და დიდის სიფრთხილით და მოწიწებით ჩამოვართვი ჩემკენ გამოწვდილი ფუნჩულა ხელი.

IV.

ევგენია წავიდა. დავრჩი მარტოკა ბაღში. ამოვიწმინდე თვალები, მოვიხადე ქუდი და შევუდექ ამ ქალზე ფიქრს. ვიგონებდი იმის ჩემთან ჰყოფნას, ლაპარაკს, სიცილსა და ტირილს, თითქო რამოდენიმე საუკუნემ გავლო მას აქეთ, რაც ის ჩემ გვერდით იჯდა-მეთქი. მთე-

საგან გადმოკეთებულ ალექსანდროვის ორ-მოქმედებიან კომედიას — „საძაგელს“ (Чудовище) და თ. რაფ. ერისთავისთვის აგრეთვე ორ-მოქმედებიან კომედიას — „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ.“

ეს უკანასკნელი კომედია ადრეც უთამაშნიათ ჩვენ სცენის მოყვარეთა და, რამდენათაც გვახსოვს, თითქმის ყოველთვის კარგათ გამოსულა, რადგან თვითონ პიესა ცოცხალი, ჩინებული, სასცენო პიესაა. რაიცა შეეხება მეორე კომედიას, ეს ჯერ ახლად იმართება ჩვენს სცენაზე, იმას პირველად თამაშობენ. თვითონ პიესა, როგორც თითქმის ყველაფერი, რაც უფ. ალექსანდროვს (კრილოვს) დაუწერია, კარგი, მახვილი და არც უაზრო პიესაა. ამბობენ, რომ ჩვენს სცენაზე ეს პიესა ძალიან კარგათ გამოდისო.

ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ამ ახლად-დაარსებული ქართული სამუდამო ტრუპპის წარმოდგენებზე ხალხი ყოველთვის ბლომად არ დაიარება; სამჯერ თუ ოთხჯერ იყო გავლილ სექტემბერში წარმოდგენა და არც ერთჯერ თეატრი სავსე არ ყოფილა. მით უფრო გასაკვირველია ამგვარი გულ-გრილობა ჩვენის საზოგადოებისა, რომ ეს წარმოდგენები, თუმცა, რასაკვირველია უნაკლულო არ არიან, მაგრამ ახლა მაინც ერთი-ორად უფრო წესიერად და რიგიანათ იმართებიან, ვიდრე ადრე იმართებოდა, და ვინც კი გვინახავს თეატრში, თითქმის ყველა კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ ქართული წარმოდგენიდამ. მაშ რას უნდა მივაწეროთ ეს გულ-გრილობა?

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ იქაურ ახლად-დაარსებულ სამუდამო ტრუპპის რეჟისსორს უფ. ანტ. ლორთქიფანიძეს გარდაეცათ ადრინდელი წარმოდგენებიდამ მოგროვილი ფული სცენის ტანისამოსისა და ბიბლიოთეკის შესაძენათაო.

ქუთაისიდამვე მოგვივიდა ამბავი, რომ უფ. ხარაზოვს უკვე დაუწყია იქ ქალაქის ადგილზე თეატრის შენება. ზალა და სცენა ამ შენობაში ისეთ-ნაირად იქნებაო მოწყობილი, რომ პოლის აღება შეიძლებაო და როცა საჭირო იქნება, ეს ზალა ცირკისათვის გამოდგებაო. ამავე ზალაში იქნება აგრეთვე თავად-აზნაურთა კრებები მარშლების არჩევის დროს და ბანკის თათბირებისაც.

ამბობენ, რომ ამ თეატრის პლანი ძალიან კარგი რამ არისო და საზოგადოთ ეს სახლი ძალიან მოთავსებული იქნება თავის დანიშნულების ასასრულებლადაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. საგარეჯო, 27 სექტემბერს. სექტემბრის 24-ს უეცრივ გაჩნდა ჩაფრის ხელით ერთი პატარა წერილი ივრის დამზოგველ ამხანაგობის გამგე კომიტეტის წევრთან, რომელშიაც ეწერა, რო მთავრობამ დამზოგველი ამხანაგობის გამგე კამიტეტის თხოვნა დაამტკიცა, შეგიძლიანთ ჩამოხვიდეთ და ორშაბათიდგან მიიღოთ პური სახელმწიფო მაღაზიიდგანაო. რასაკვირველია, ვინც არ იცის ეს საქმე, გაუკვირდება—თუ ამხანაგობამ რა პური უნდა მიიღოსო. აი, ბატონებო, მე მოგახსენებთ ფრიად სასიამოვნო ყველასთვის ამბავს:

ივრის ხეობაში რადგანაც პური არ მოვიდა და აქაურმა ვაჭრებმა სხვა-და-სხვა მხრებიდგან იაფათ ნასყიდი პურები მოზიდეს და კოდს ექვს მანეთათ ზაფხულშივე ჰყიდდნენ; ვისაც ფული ხელში არა ჰქონდა მომავლისათვის, ექვს აბაზათ კოდ პურს იკვეთავდნენ გლეხებიდგან; მაშასადამე ვინც წაიღებდა მათგან ორ[illegible]კოდ პურს თორმეტ მანეთათ და ფულს ხელში არ [illegible]სოთ ათი კოდი პურ[illegible] ის ფული, როგორც მის დროს კოდი პური დაფასდებოდა.

გამგეობამ ეს გარემოება კარგათ იცოდა, რო ხალხი ათ წლამდის ვაჭრების მონებიდგან თავს ველარ გამოიხსნიდა, რადგან პირველ წელიწადს რაც მოუვიდოდა ისევ ვაჭარი წაიღებდა და იმავ წელიწადს ისევ მშიერი იქნებოდა, რასაკვირველია, გლეხებში; მეორე წელიწადს, მესამეს, მეოთხეს, ათს წლამდის ასე იქნებოდა, მანამ თავ საყრელი პური არ მოუვიდოდა გლეხს. ახაში დარწმუნებული იყო მით უფრო, რო რამდენი გლეხისათვის სამოც და ოთხმოც თუმნობით გარდაუხდევინებიათ მაგნაირი შეყენებული ნისიებით. ბევრი ლისტები უნახავს გამგეობის წევრთ აღსრულებაში მოყვანილი და გლეხი დანიაგებული. მაგალითების მოყვანას საჭიროთ არა ვრაცხავთ.

აი ყველა ამეებმა გამგეობის გული შაჩქროლა და იფიქრა—თუ უშველის, ახლა უნდა შველა ხალხსა. მიანდეს გამგეობის წევრს, რომ მას მოელაპარაკნა მაზრის უფროსთან, თუ საიდგან შეიძლებოდა შველა: შეიძლებოდა თუ არა, რო ამხანაგობას ეთხოვნა მთავრობისთვის რო მთავრობას მისთვის ენდო ორი ათასი ჩეთვერი პური და ამხანაგობას გაეყიდნა ხალხში სახელმწიფო ფასით. მაზრის უფროსი და მისი თანაშემწე უ. ახაზი გულ-მხურვალეთ მოეკიდნენ ამ საქმეს, ეცადნენ იქამდინ, რომ მთავრობამ შეიწყნარა ამხანაგობის თხოვნა.

რასაკვირველია, მანამ ეს თხოვნა დამტკიცდებოდა, ვაჭრები სულ სხვა-და-სხვა ხმებსავრცელებდნენ ხალხში; მაგრამ ხალხი დაიმედებული იყო და მათგან პურს არ ყიდულობდა, ელოდნენ მთავრობის პასუხს. მოვიდა თუ-არა ზე-

---

ლი დღე და ღამე მე იმაზედ ვფიქრობდი: რა მშვენიერია, რა ბედნიერი ვიქნები, რომ ის მე შემიყვარებს! რა კარგი, ტკბილი სიყვარული ეცოდინება!.. აჰ, იმისი სიცილი, იმისი თვალები, იმისი თმა, ამისი ნაზი, ხმა, იმისი მიხრა-მოხრა! უსულოს სულს ჩაუდგამს და უხორცოს განახორციელებს!

დილით ხუთ საათზედ ავდეგი. მთელი ორი საათი მოვამდომე პირის ბანას და თმის ვარცხნას. მეშვიდე საათზედ ფრთხილად გავაღე ბაღის კარები და დავჯექ. ღმერთო ჩემო! რა გვარათ მიძგერს გული!!

დანიშნულ დროს გამოცხადდა, შემოანათა ბაღში მთვარემ. ხმა-ამოუღებლად დაჯდა ჩემთან და დაიწყო ტირილი. ახლა ვიგრძენ, რომ გუშინ ვაწყენინე იმის კეთილშობილურ, ნორჩ გულს; დაუჩოქე წინ და უთავბოლოდ ვებოდიშებოდი:

—ევგენია! შემიბრალე, მომიტევე, მაპატიევე! საძაგელი ვარ, ცუდი კაცი ვარ! მე...

ევგენიამ შეამცნია ჩემი გულ-კეთილობა და მალე დამშვიდდა, გული მოიბრუნა.

—უფ. ივანე! სწავლული კაცი ხართ; ილაპარაკეთ, მელაპარაკეთ; მე ყურს გიგდებ, ვისწავლი, გავიკებ თქვენგან რამეს!..

მე იმას აუხსენი სხვა-და-სხვა რამეები; ბევრი რამეები ველაპარაკე, მაგრამ მაინც ჩვენს მუსაიფს თავი ვერ მოება: შევხედავდი თუ არა იმას, იმ წამსვე ამერეოდა დავთრები, ველარ ვახერხებდი ლაპარაკს. ცოტა ხნის შემდეგ მე შევეჩვიე იმას და თავისუფლად, მოურიდებლად ვბედავდი იმასთან ლაპარაკს.

მე დავდიოდი ევგენიას სახლში, სადაც ვკითხულობდი სხვა-და-სხვა წიგნებს, რომელსაც დიდის გულ-მოდგინებით ისმენდა ის და იმისი დედა.

ერთმა კვირამ განვლო. ერთხელ შეველ ჩემ საყვარელ ბაღში და ჩუმათ მოვეფარე ერთ ჯაგს. კარგა ხანს ვიჯექ აქ და ვკითხულობდი წიგნებს. ამ დროს მივიხედე უკან სქელ ჯაგნარში და... ოხ, ღმერთო! ვერ ავიწერთ სიტყვებით იმ ჩემთვის საზარელ მინუტს მთელს ჩემს სიცოცხლეში! სტეფანე, ის სტეფანე, რომელიც კარგა ხანია, ე. ი. მას აქეთ, რაც მე იმასთან ლაპარაკი მქონდა, აღარ უნახავს ჩემს თვალებს, რომელიც მე მეგონა დამარცხებული სამუდამოთ და, მაშასადამე, აღარ გაივლის-მეთქი ჩვენთან,—ის სტეფანე დადიოდა ბაღში და... გაცხაოებული ბაასი გაება ევგენიას!..

— აქ რა უნდა სტეფანესა?! ვიფიქრე მე: რათ ელაპარაკება ევგენიას?

— აქა ვარ! მე აქა ვარ! შევყვირე და აღარ დავუცადე პასუხს, შეველ ერთ ტყეში და, უნდა გამოვსტყდე, ყმაწვილივით ტირილი დავიწყე... მე ვფიქრობდი, რომ ყველაფერი, რაზედაც იყო დამყარებული ჩემი ახალი ბედნიერება,—დაიქცა და გაქარწყლდა-მეთქი. სიყვარული, იმისი მომავალი დიდება, იმისი სიხარული, მეგობრობა, ქება,—ყველაფერი მოტყუილება იყო! მე კი. . . მე. . . ოჰ! რა გამოუხსნელი მწუხარება იყო!

(დასასრული შემდეგში)

მოხსნებული წერილი, მისი შინაარსი ელვასავით მოიფინა მთელს ხალხში, აღტაცებით ერთმანერთს ახარებდნენ და ულოცავდნენ.

უნდა გეყურებინათ ქვრივი დედაკაცებისთვის — თუ როგორ შლიდნენ ხელებს და ავედრებდნენ უფ. ლუბერნატორს, რომელმანც დიდი ღვაწლი დასდო, და ყველა ამ საქმეში მონაწილეთ. მეორეს მხრივ უნდა გეცქირათ — თუ რა ყინულის წყალი გადაესხათ ვაჭრებს. ვინც დუქანში სკამზე იჯდა, ველარ მოახერხა ადგომა; ვინც იდგა, ისიც ველარ დაიძრა ადგილიდგან, იყვნენ ხმაგაკმენდილნი ისინი, ვინც ერთი წუთის წინეთ არწმუნებდნენ გლეხებს, რო ჩვენ მთავრობას ვეხოვეთ: საგარეჯოში პური ბევრი გვაქვსო და არ გვინდაო და დეპოს ამიტომ აღარ აძლევენო. ამ ნაირი მდგომარეობიდგან ვაჭრები გამოიყვანა მეორე დღეს ერთმა საინტენდანტოს გარდამდგარმა ჩინოვნიკმა, რომელიც იჯდა წითელი პალტოთი იაგორ ასლამაზოვის დუქანში, გარს ეხვივნენ ვაჭრები, რომელთაც ანუგეშებდა:

„— მე, როგორც გამოცდილი კაცი, გარწმუნებთ, რომ დეპოს პურს არაევინ მისცემს და თუ მისცემენ, ნაგვიანს და ხალხი ისევ თქვენ მოგმართავთ. ეს ბებრუცანა ჩინოვნიკი და რამდენიმე ვაჭარი ნუგეშ ცემულნი მოვიდნენ შკოლის სახლის პირდაპირ, სადაც იდგა ხალხი და ლაპარაკობდა პურის მოტანაზე; რასაკვირველია, ვაჭრები ცდილობდნენ ჩინოვნიკისათვის გაემეორებინეთინათ ისევე სიტყვები, რომელიც წარმოსთქვა დუქანში, რომ რა არის ხალხი ამ მცოდნე კაცს უფრო გაუგონებს და იმ პურს აღარ იყიდიანო. ამ დროს წამოდგა შუაში ეს ჩინოვნიკი და უთხრა ხალხს:

— კაცებო, რას ლაპარაკობთ? თქვენ იქ პურის ყიდვა რა ხელს მოგცემთ! ჯერ ერთი ხაზინა ძვირათ მოგცემთ, ჩეთვერი ხაზინას ულირს ორი თუმანი, თუნდაც რომ ნაკლებ მოგცენ, მოგცემენ, მხოლოდ ნაგვიან პურს. მე ეს კარგათ ვიცი, ატდელეგეის ნაჩალნიკი ვიყავი.

ხალხი თითქო შეფიქრიანდა. ამ დროს ერთმა იქ მდგომმა მოახსენა:

— ბატონო, მაღაზიაში ნაგვიან პურს რა უნდა! მე მინახავს, რომ პოდრიადჩიკებს დარკვეული პური მიაქვთ, რომელსაც წისქვილის მეტი აღარა უნდა-რა.

— ახლა იცით რას შვრებიან? მე ოც-და-ათი წელიწადი ვემსახურე და კარგათ ვიცი, რო პოდრიადჩიკები პოდრიადის დროსაც და მიწონის დროსაც ქრთამს ხარჯავენ და ნაგვიან პურსაც ატყუებენ.

ამაზე ერთმა უფრო გამოცდილმა კაცმა მოახსენა:

— თქვენ ბძანეთ, ბატონო, განყოფილების ნაჩალნიკი ვიყავო; თუ იცოდით, რათ აძლევდით ნებას პოდრიადჩიკებს, რო ნაგვიანი პური მოჰქონდათ სახელმწიფო მაღაზიაში? მეტყობა თქვენც მონაწილე ბძანებულ ხართ!..

აპაზედ დაფიქრდა, ეს რა წამცდაო და კუდ-ამოძუებულმა გასწია კამპანიით; იქნება მართლა როგორც თითონ ბძანა მართალი იყოს, ამას მამა-პაპეული ერთი ქოხიც არ დარჩენია, ახლა კი თფილისში ერთი საკვარტალოს [illegible] ქუჩა, რომელიც ღირს რამდენიმე [illegible] მანი, რამდენიმე ათასი თუმნისაც საგარეჯოში მამულები უყიდნია სოთავადო და საგლეხო. ორი ათასი თუმანიც ქალისთვის მზითევში გაუტანებია, — კარგია, რომ ამ ბოლოს დროს თავისი ცოდვა აღვიარა.

ა. ქავთელი.

განცხადებანი

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, ხეჩინოვის სახლებში, ივანე **კურწოვის** მაღაზიაში იყიდება ნამდვილი, თეთრი **წმინდა** (თაფლის) **სანთელი**

ფასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იაფია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი იყიდება აგრეთვე **თფილისშიაც**, სიონის ულიცაზედ, ორნანოვის ქარვასლაში.

(10—7)

ბიბლიოგრაფიული ცნობა

პირველ-დასაწყისი კურსი რუსული ენისა ქართველთათვის, შედგენილი ბ. კალანდარიშვილისაგან, მეექვსე გამოცემა გადასწორებული და დამატებული ი. ბოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და იყიდება ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ქუჩის ხიდთან. ფასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდის ნაღდს ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა ცხარა შაურათ, ხოლო ვინც ორმოც-და-ითზე მომეტებულს წაიღებს ერთათ ნაღდსავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ.

(15—2)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ

	მან	კაპ.
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ ღღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. ქალეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისსა და ფოთისაკენ — ყოველ ღღე კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

	კაპ
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	
ღია წერს	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი 25 სექტემბ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	40
ფქვ. წითელი . .	2	30
ქერი ფუთი . . .	1	50
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	70
— ამერიკისა, ფუთს .	9	50
ბაენტილი ბამბა ფუთი.	11	80
ბატული თუშური ფუთი.	8	50
— თრაქმისა ფუთი .	4	20
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	70
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	—
— ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	7	25
— ფხვნილი ფუთი .	6	—
ყავა რგვალი გრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	50
თამბაქო ხაშურა ფთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მიდ., წინამძღვაროვ. ხახლი. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ ღღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი — შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი — თვალის, ურავლევი — ვენერიულის, და კანისა; ბაბოვი — გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი — შინაგ, ასტეა-ცატუროვი — ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგ. ავათმყ. და ურავლევი — კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტეა-ცატუროვი — ვენერ. და კანის; ბაბაევი — გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; ურავლევი — ვენერ. და კანის; რეიხი — თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Октября 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.